BOLSHEVIK OCCUPATION OF GEORGIA AND SOCIAL AND POLITICAL ATTITUDES OF THE POPULATION IN 1921-1923

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია და მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობები 1921-1923 წლებში

OTAR JANELIDZE
Doctor of History, Professor
of Gori State Teaching University
ORCID ID: 0000-0003-0132-4341
otar_janelidze@yahoo.com
+995 599 54 01 95

Abstract

Military aggression realized in Georgia in 1921, February-March, was declared as an act of liberation of the country by the Bolsheviks. Soviet historiography has agreed with this view without any kind of criticism and deliberately falsified Georgian reality of the 20s of the twentieth century.

The present work is an attempt of rethinking of the first years of establishment of the Soviet power in Georgia, an attempt to demonstrate the transformation of Georgian attitudes to the new regime and to explain its causes.

Three years of independence made a serious impact on Georgian people's consciousness. A significant part of the population managed to feel the value of its statehood, which is why the loss of it was perceived painfully. Initially, emotions prevailed pragmatism, but later the dissatisfaction acquired a form of an organized protest.

Mistrust was mutual: various segments of society met with suspicion the new regime. In addition, the Government (regime) took intransigent position towards this segment of the society; it was announced as an enemy and was regarded with life-death confrontation.

Protests against the occupational regime from the beginning had a peaceful character, but soon the anti-Soviet rebellion broke out in Svaneti and in 1922 in the highlands of Pshav-Khevsureti people started armed protests.

Anti-Soviet political parties took leadership in the liberation struggle. Their protest movement was carried out illegally. The main slogan was the demand of withdrawal of the Red Army from the country and restoration of independence.

The Bolsheviks did not avoid applying of suppressive measures. Repressions acquired a massive character. Physical liquidation, imprisonments, exiles and expulsions of people considered as enemies became ordinary things. On May 20, 1923 by the resolution of the

Special Committee of Georgia, by extrajudicial executions were shot all the members of "The Military Center" etc.

The Soviet press more than frequently published correspondences expressing admiration for a new reality. Sometimes they were accompanied by collective signatures of groups of workers or peasants, but these ordered or prepared by the editors-in-chief letters cannot be used as a barometer to measure the spirit of public opinion. It seems that sincerer were the workers who at a meeting in Nadzaladevi Club in July 1921 accused arrived in Tbilisi Stalin for occupation of Georgia.

Georgian political emigration hoped that the occupational regime in Georgia would soon be overthrown, because it did not have a reasonable foothold here and international situation has changed to unfavorable for the Bolsheviks.

In 1921-1923 in Georgia there were outlined several different attitudes to the Soviet Government: the poorest part of the population, whose life conditions actually improved, became loyal to the regime, majority of them believed in Bolshevik social demagogy and took its side looking for a better future. A certain part of the society was forced to the loyality of the government due to fear of reprisals, while others embarked on the same path by a tactical point of view, those who were absolutely adamant of reconciliation started preparations for a new rebellion.

Keywords: Georgia, Soviet regime, Protest movement, Extraordinary Commission (Cheka), Uprisings

ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ORCID ID: 0000-0003-0132-4341
otar_janelidze@yahoo.com
+995 599 54 01 95

აბსტრაქტი

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესია ბოლშევიკებმა ქვეყნის განთავისუფლებად გამოაცხადეს. საბჭოთა ისტორიოგრაფიამაც ეს შეხედულება უკრიტიკოდ გაიზიარა და ამით მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ქართული სინამდვილე მიზანმიმართულად გააყალბა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ცდას, ახლებურად გავიაზროთ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველი წლები საქართველოში, ვაჩვენოთ ახალი

რეჟიმისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების ტრანსფორმაცია და ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები.

დამოუკიდებლობის სამმა წელმა სერიოზული ზეგავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ცნობიერებაზე. მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოასწრო საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდა, რის გამოც, მისი დაკარგვა მტკივნეულად აღიქვა. პირველ ხანებში ემოცია ჭარბობდა პრაგმატიზმს, მერე კი უკმაყოფილებამ ორგანიზებული პროტესტის ფორმა შეიძინა.

უნდობლობა ორმხრივი იყო: საზოგადოების სხვადასხვა ფენა ეჭვით შეხვდა ახალ რეჟიმს. ხელისუფლებამაც (რეჟიმმა) საზოგადოების ამ სეგმენტის მიმართ შეურიგებელი პოზიცია დაიკავა, იგი მტრად დასახა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა.

მოსახლეობის გამოსვლებს საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ თავიდან მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, თუმცა მალე სვანეთში ანტისაბჭოთა აჯანყებამ იფეთქა, 1922 წელს კი იარაღი ფშავ-ხევსურეთმაც აღმართა.

განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერობა ანტისაბჭოთა პარტიებმა ითავეს. მათი საპროტესტო მოძრაობა არალეგალურად წარიმართებოდა. მთავარი ლოზუნგი საქართველოს საზღვრებიდან წითელი არმიის გაყვანისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა იყო.

ბოლშევიკები არ ერიდებოდნენ დამთრგუნველი ღონისძიებების გამოყენებას. რეპრესიები მასობრივ ხასიათს იღებდა. მოწინააღმდეგედ მიჩნეული ადამიანების ფიზიკური ლიკვიდაცია, საპყრობილეებში ჩასმა, გადასახლება, სამშობლოდან გაძევება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. 1923 წლის 20 მაისს საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილებით, გაუსამართლებლად დახვრეტეს ,,სამხედრო ცენტრის“ სრული შემადგენლობა და სხვ.

საბჭოთა პრესაში არცთუ იშვიათად იბეჭდებოდა ახალი სინამდვილით აღფრთოვანების გამომხატველი კორესპონდენციები. მათ ზოგჯერ მუშათა ან გლეხთა ჯგუფების კოლექტიური ხელმოწერებიც ახლდა, მაგრამ ამ შეკვეთილი თუ რედაქციების მიერ მომზადებული წერილების სულისკვეთება ვერ გამოდგება საზოგადოებრივი განწყობის ბარომეტრად. უფრო გულწრფელი ის მუშები ჩანან, რომლებმაც 1921 წლის ივლისში თბილისში ჩამოსული ი. სტალინი, ნაძალადევის კლუბში შეხვედრისას, საქართველოს დაპყრობაში დაადანაშაულეს.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია იმედოვნებდა, რომ საოკუპაციო რეჟიმი საქართველოში მალე დაემხობოდა, რადგან მას აქ არ გააჩნდა საფუძვლიანი დასაყრდენი და საერთაშორისო ვითარებაც ბოლშევიკებისათვის არახელსაყრელად იცვლებოდა.

1921-1923 წწ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისადმი რამდენიმე განსხვავებული მიმართება გამოიკვეთა: მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი, რომლის მდგომარეობა რეალურად გაუმჯობესდა, რეჟიმის ერთგული გახდა, უფრო მეტმა ბოლშევიკთა სოციალური დემაგოგიის დაიჯერა და მათ უკეთესი ცხოვრების მოლოდინით მიემხრო. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ხელისუფლებისადმი ლოიალობა რეპრესიების შიშმა აიძულა, ზოგიც იმავე გზას ტაქტიკური მოსაზრებით დაადგა, სრულიად უკომპრომისონი კი შერიგების ნაცვლად, ახალი აჯანყებისათვის ემზადებოდნენ.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, საბჭოთა რეჟიმი, საპროტესტო მოძრაობა, საგანგებო კომისია (ჩეკა), აჯანყებები.

შესავალი

1921 წელს განხორციელებული საქართველოს გასაბჭოება, რომელიც ბოლშევიკებმა ქვეყნის განთავისუფლებად გამოაცხადეს, სინამდვილეში რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი დაპყრობა იყო. ეს მოგვიანებით თვით კომუნისტურმა ისტორიოგრაფიამ აღიარა, რომელმაც თავის დროზე უკრიტიკოდ მიიღო ხელისუფლების მცდარი შეხედულება და XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული სინამდვილე მიზანმიმართულად გააყალბა.

ბოლო 30-35 წლის განმავლობაში შეიქმნა ნაშრომები, რომლებშიც აღნიშნული კუთხით არსებული ხარვეზები ძირითადად აღმოფხვრილია, თუმცა სამუშაო ჯერაც ბევრია და საკვლევ პრობლემათა რიცხვიც არაა უმნიშვნელო.

წინამდებარე სტატიაში შესასწავლი საკითხის კომპლექსური გაშუქებისათვის სხვადასხვა ხასიათის პირველწყარო მოიპოვება. პირველ რიგში, ეს არის საქართველოს საგანგებო კომისიის მასალები, რომლებიც მრავლადაა შემორჩენილი საბჭოთა დროის არქივებში. მართალია, მათი დიდი ნაწილი ცალმხრივია და მნიშვნელოვანწილად ტენდენციურიც, მაგრამ ამ დოკუმენტების კრიტიკული შესწავლა, კონტენტანალიზი და სხვა მონაცემებთან შეჯერება საქართველოში არსებულ სინამდვილეს მაინც რელიეფურად წარმოაჩენს.

საგულისხმო ინფორმაციის შემცველია მემუარული ლიტერატურა, ზეპირსიტყვიერი მასალა და განსახილველი წლების პერიოდული პრესა, მათ შორის ქართული ემიგრანტული გამოცემები. რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები ძირითადად ბოლშევიკური ხელისუფლების პროპაგანდის საშუალებები იყვნენ და მათ ფურცლებზე ხშირად ტყუილი და მართალი არეული იყო ერთმანეთში. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ემიგრანტული პერიოდიკაც ბრძოლის იარაღი იყო პოლიტიკური ემიგრაციის ხელში და მოვლენათა მიუკერძოებელ ასახვას არც მისგან უნდა მოველოდეთ. ეს გამოცემები გარკვეული სწორხაზოვნებით, თუმცა სიმართლის მეტი დოზით გამოირჩევიან. თავისი ნაკლი აქვს მემუარულ ლიტერატურასაც, რომლისათვის დამახასიათებელი სუბიექტურობა ამცირებს მოგონებათა სანდოობის ხარისხს. ყოველივეს მიუხედავად, ამ ტიპის

წყაროთა ინფორმაციაც, სხვა მონაცემებთან კორელაციაში, ანგარიშგასაწევად მიმაჩნია.

ნაშრომი ძირითადად საისტორიო წყაროებს ეფუძნება და წარმოადგენს ცდას, ახლებურად გავიაზროთ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველი წლები საქართველოში, ვაჩვენოთ ახალი რეჟიმისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების ტრანსფორმაცია და ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები.

მეთოდი

საზოგადოებრივ განწყობებს, როგორც წესი, სოციოლოგიური კვლევის მეთოდებით – გამოკითხვით, მონაცემთა ანალიზით, ექსპერტული შეფასებებით და სხვა მიდგომებით შეისწავლიან. წინამდებარე სტატიაზე მუშაობისას, გამომდინარე იქიდან, რომ თემა წარსული ეპოქის, კონკრეტულლად კი 1921-1923 წლების ქრონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს, მსგავსი კვლევა ვერ განხორციელდებოდა. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა და ძალდატანებითი გასაბჭოების დღიდან 1924 წლის აგვისტოს ეროვნულ აჯანყებამდე პერიოდის საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობების შესასწავლად ვსარგებლობ ისტორიზმის, ისტორიულ-შედარებითი, რეტროსპექტული და დოკუმენტის ანალიზის მეთოდებით. საარქივო, ზეპირსიტყვიერი, პერიოდული პრესის მონაცემები თუ მემუარული ლიტერატურა კრიტიკულადაა გააზრებული და განზოგადებული. დიდძალ ემპირულ მასალაზე დაყრდნობით განსახილველი საკითხი სხვადასხვა პერსპექტივიდანაა გაშუქებული, რაც არსებული სიტუაციის მთლიანობაში დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

შედეგები

1. მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ანტისაბჭოთა პროტესტს თავიდან მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და ძირითადა მუშათა და სტუდენტი ახალგაზრდობის დემონსტრაციებში, პროკლამაციების გავრცელებაში, რეჟიმის მესვეურებისა თუ საერთაშორისო საზოგადოებისადმი პეტიციებით მიმართვებში გამოიხატა.

2. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაარღვია დაპირება, რომ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს წარსულს არ გაუხსენებდა და ბოლშევიკებისადმი წინა წლებში მტრობის გამო მათზე შურს არ იძიებდა. რევკომმა არ შეასრულა მის მიერვე გამოცემული დეკრეტი და ანტისაბჭოურად განწყობილი საზოგადოების ყველა ფენის დევნა დაიწყო. საპასუხოდ, გაძლიერდა წინააღმდეგობის მოძრაობაც, რომელიც ჯერ სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, შემდეგ კი ფშავ-ხევსურეთის აჯანყებებში გადაიზარდა.

3. განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურობა ანტისაბჭოთა პლატფორმაზე მდგომმა პარტიებმა იკისრეს და საამისოდ პარიტეტული პრინციპით ინტერპარტიული ორგანო – დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩამოაყალიბეს. ბრძოლის მთავარი ლოზუნგი საქართველოს საზღვრებიდან წითელი არმიის გაყვანისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა იყო.

4. დასაბუთდა თვალსაზრისი, რომ 1921-1923 წლების საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება დიფერენცირებული იყო: მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი, რომლის მდგომარეობა რეალურად გაუმჯობესდა, რეჟიმს გაუერთგულდა, უფრო მეტმა ბოლშევიკთა სოციალური დემაგოგია ირწმუნა და მათ უკეთესი ცხოვრების მოლოდინით მიემხრო. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ხელისუფლებისადმი ლოიალობა რეპრესიების შიშმა აიძულა, ზოგიც იმავე გზას ტაქტიკური მოსაზრებით დაადგა, სრულიად უკომპრომისონი კი შერიგების ნაცვლად, ახალი აჯანყებისათვის ემზადებოდნენ.

მსჯელობა

ცნობილია, რომ დამოუკიდებლობის სამმა წელმა ქართველი ხალხის ცნობიერებაზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინა. როგორც გერონტი ქიქოძე წერდა: „ქართველობას განუმტკიცდა რწმენა, რომ მას საკუთარი სახელმწიფოს შექმნა შეუძლია ურთულეს საერთაშორისო პირობებში“ (ქიქოძე, გ. 2003: 61). მართლაც, მოკლე დროშიც კი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოასწრო საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდა, რის გამოც, მისი დაკარგვა მტკივნეულად აღიქვა. მართალია, ქვეყანაში შემოჭრილ წითელი არმიას 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში ,,ქუდზე კაცი“ ვერ დაუპირისპირდა, მაგრამ ოკუპაციის შედეგი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა იმდენად თავზარდამცემი იყო, რომ საზოგადოების თითქმის ყველა ფენა საპროტესტოდ განაწყო. ,,თებერვალში განცდილმა მარცხმა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების სასწაულებრივი გამოჯანსაღება გამოიწვია. ...ერის ყველა ფენამ იგრძნო და შეიგნო თუ რა დავკარგეთ. ...სპონტანურად დაიბადა რევანშის წყურვილი – სირცხვილის მოსარეცხად. არავინ არც მოწოდებას არც წაქეზებას არ საჭიროებდა, რომ თავისი პირადი უნარი, შესაძლებლობა, სიცოცხლეც განთავისუფლების საქმისათვის შეეწირა“, შენიშნავდა ცნობილი ქართველი ემგრანტი მიხეილ ქავთარაძე (ქავთარაძე, მ. 1979: 8).

პირველ ხანებში ემოცია ჭარბობდა პრაგმატიზმს. ძალიან ბევრმა ადამიანმა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა აღიქვა, როგორც უცხო, შორეული და მიუღებელი სამყარო. ამ ადამიანებს გაუჩნდათ განცდა, რომ საკუთარ სამშობლოში მათი ადგილი აღარ დარჩა. ყველას ხელახლა უნდა ეპოვა საკუთარი თავი, უფრო სწორედ, მოეძებნა ათვლის ახალი წერტილი და გაერკვია თავისი მიმართება შექმნილი სინამდვილისადმი. მიუხედავად ამისა, მოსახლეობას არ დაუფლებია სოციალური აპათია. მისი მგრძნობელობა პოლიტიკური პროცესების მიმართ არათუ შენელდა, არამედ თვალსაჩინოდ გაიზარდა. ქართული საზოგადოება, შეიძლება ითქვას, პოლიტიზებული გახდა.

საოკუპაციო რეჟიმთან მოსახლეობის შეურიგებლობის ერთ-ერთი პირველი გამოვლინება იყო დამპყრობთა წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან გმირულად დაღუპული მებრძოლების ჯერ დაკრძალვა, ხოლო 40 დღის შემდეგ მათი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელიც დიდების ტაძარში იქნა გადახდილი (მგელაძე, ვ. 1936: 9; 17).

საბჭოთა სინამდვილისადმი საზოგადოებრივი აზრის ნეგატიური განწყობა შთამბეჭდავადაა ასახული იმ წლების ზეპირსიტყვიერებაში, რომლის არაერთი ნიმუში შემორჩენილია არქივებსა და სხვა სიძველეთსაცავებში. საილუსტრაციოდ რამდენიმეს დავიმოწმებ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი ,,დიდება“ გადაკეთებული ახალ მოტივზე:

,,ზიზღი შალვას და მამიას,[1]
ფილიპეს[2], – კაციჭამიას
ერის დამღუპველთ.
ზიზღი ბესოს და საშას[3]
მათ მომმე ქემალ-ფაშას,[4]
ზიზღი სამშობლოს გამყიდველთ
ერის მახინჯ შვილთ.
ზიზღი ბუდუ მდივანს[5]
იუდა ადამიანს,
წითელ დიპლომატს.
ზიზღი სტალინ-ჯუღაშვილს
ქართველ ერის უღირს შვილს,
ზიზღი წითელ არმიას,
ძალით შემოსულს“ (სეა სცა, ფონდი 1861, საქმ. 79: 80).

საბჭოთა რეჟიმის პირველ წლებში საქართველოში მღეროდნენ:

,,ტურფა საქართველო გაჰქურდეს, გაძარცვეს,
ჯალათ-იუდებმა ჯვარს აცვეს, აწამეს,
ვაშა საქართველოს! დიდება მის მაისს,
მუდამჟამს ვიგონებ ოცდაექვს მაისს“ (სარჯველაძე, პ. 1971: 99).

თბილისის ქუჩებში ასევე გაიგონებდით:

,,ნატვრა მომცა, ნატვრა მომცა, ნატვრა ამიხდებოდეს,
ლენინ-ტროცკი-მახარაძე სახრჩობელას სწვეოდეს
ჩვენი ნოე ჟორდანია ქალაქს დაბრუნდებოდეს“ (გურული, ვ. 1999: 129).

ან კიდევ: „მოწყენილი დიდი ნოე
პარახოდში ჩადიოდა,
საქართველოს დასახსნელად
ევროპაში მიდიოდა...“ (მასალები 2007: 2006).

[1] შალვა ელიავა და მამია ორახელაშვილი – საქართველოს რევკომის წევრები.
[2] ფილიპე მახარაძე – საქართველოს რევკომის პირველი თავმჯდომარე.
[3] ბესო კვირკველია და ალექსანდრე გეგეჭკორი – საქართველოს რევკომის წევრები.
[4] ქემალ ათა თურქი – თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი და პირველი პრეზიდენტი.
[5] ბუდუ მდივანი – მცირე ხნით საბჭოთა რუსეთის ელჩი თურქეთში, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძის შემდგომ.

თუმცა ერთ მაშინდელ ხალხურ ლექსში იყო ასეთი სტროფიც:

,,მიყვარს ვარდი, მიყვარს ია, მეჯავრება ჟორდანია.

ფილიპეში ვერ გავცვალე, რაც მართალი, მართალია“ (დრონი, 2012: 18. 02).

დოკუმენტური წყაროს თანახმადაც, როდესაც 1921 წლის აპრილში, ერთ-ერთ არალეგალურ შეკრებაზე, თბილისში, ახალგაზრდა მარქსისტთა წარმომადგენელმა ხმამაღლა განაცხადა: „არა, არ გატყდება, არ მოკვდება სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი ჭაღარა ბელადი ნოე ჟორდანია“, –მთელი დარბაზი ამ სიტყვებს საოცარი აღტაცებითა და ოვაციით შეხვდა (სეა სცა, ფონდი 2117, საქმ. 11: 14).

დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდეგ ძალაუფლება საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ხელში გადავიდა, 1922 წლის თებერვლიდან კი მისი ადგილი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაიკავა. ისინი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლებად იწოდებოდნენ, თუმცა ორივე მათგანი ,,უბრალო ციფერბლატს წარმოადგენდა, ხოლო ნამდვილი მამოძრავებელი ზამბარა იყო მოსკოვი“ (ლორთქიფანიძე, გ. 1995: 236). ერთი თანამედროვის სიტყვით, „ქვეყანას არ ჰყავს ნამდვილი, ნდობით მოსილი მთავრობა! არ ვიცით, ვინ არის დღეს საქართველოს მესვეური?! საქართველო ქაღალდზე „დამოუკიდებლად“ იხსენიება! ეს რაღაც დეკორატიული დამოუკიდებლობა გამოდის! თან „ფედერაციაც“ არის გამოცხადებული ამიერკავკასიის „საბჭოთა რესპუბლიკებისა“ (თალაქვაძე, ნ. 2013: 195). ცნობილია, რომ 1922 წლის დეკემბერში საქართველო ჯერ ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციაში შეიყვანეს, მალევე კი მისი მეშვეობით, ახლად შექმნილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გააერთიანეს. საზოგადოებაში ამ რეალობას დაცინვით „ორსართულიან ფედერაციას“ უწოდებდნენ (სშსსა, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. 196: 40).

ამ ფონზე კიდევ უფრო შემზარავად გამოიყურება მმართველობის ქვედა რგოლებში არსებული ვითარება. იმ დროის ერთ ერთ საარქივო დოკუმენტში, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობის ცენტრალური პოლიტიკური კომისია უცხოეთში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ მისიებს აწვდიდა, ხაზგასმულია: ,,დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 90% სოფლის ადმინისტრაციისა ავაზაკებისა და ჯიბგირებისაგან შედგება. ყველა ის პირი, რომელნიც გაძევებული იყვნენ სოფლებიდან ქურდობის ან მკვლელობისათვის, დღეს ბოლშევიკებად დაბრუნდნენ და სოფლებს მეთაურობენ. ქალაქებში დიდი არევ-დარევაა იმის გამო, რომ არ იციან ვინ არის მთავრობა: ჯარის რევკომი თუ საქართველოს რევკომი, სამხედრო თუ სამოქალაქო ჩეკა“ (სეა სცა, ფონდი 1864, საქმ. 610: 11-12).

ხსენებული ,,ქართული მთავრობების“ ქართველ საზოგადოებასთან ურთიერთობაში ქვეყნის ,,გასაბჭოებისთანავე“ ორმხრივი უნდობლობა იყო გამოკვეთილი: ხელისუფლება (რეჟიმი) ეჭვით ეკიდებოდა საზოგადოების დიდ ნაწილს, მეტიც, – მას მტრად მიიჩნევდა და განადგურებით ემუქრებოდა. საზოგადოების სხვადასხვა ფენაც ასევე, არ ენდობოდა ახალ მმართველობას, რომელიც, გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვით, ისეთი ,,გამხოლოებული და არაპოპულარული“ იყო, რომ მისი მსგავსი ,,იშვიათად მოიძებნება კაცობრიობის

ისტორიაში“ (ლორთქიფანიძე, 1995: 243). უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო უბრალო ურთიერთგაუცხოება, ეს იყო აშკარა შეურიგებლობა, რომელიც ან კონფლიქტის ზღვარზე წარმოებდა ან კიდევ გადაზრდილი იყო რეალურ კონფრონტაციაში.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის სერიოზულ გამოწვევად იქცა 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღი, – დღესასწაული, რომელიც 1919 და 1920 წლებში სახალხო ზეიმით აღინიშნა. მოსალოდნელი იყო, რომ, ოკუპაციის პირობებშიც, ამ დღეს ისევ დაუკავშირდებოდა მძლავრი სახალხო აქტივობა. იმისათვის, რათა 26 მაისი აღარ დარჩენილიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ და მოვლენებზე კონტროლიც შეენარჩუნებინა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის 7 მაისს მიიღო გადაწყვეტილება, აღენიშნათ 26 მაისი, ოღონდ მიეცათ მისთვის საბჭოური ხასიათი. მანიფესტაციებზე უნდა გამოეტანათ მხოლოდ წითელი დროშები და არა ეროვნული. მიტინგები უნდა გამართულიყო არა ქუჩებში, არამედ შენობებში. დაიგეგმა სამხედრო აღლუმი და უფასო თეატრალური წარმოდგენები. ფართო მასებისათვის უნდა განემარტათ, „დამოუკიდებლობის კომუნისტური გაგება,[6] რომელმაც თავისი ჭეშმარიტი არსი მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკების ხელისუფლების დამხობის შემდეგ შეიძინა“ (სშსსა, ფ. 14, საქმ. 5: 19) და სხვ.

1922 წლის 25 მაისს გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ორი დღით ადრე გამოცემული ბრძანება N5, რომელშიც აღნიშნულია: თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე არის 25 თებერვალი და არა 26 მაისი. ამიერიდან გაუქმებულია 26 მაისის დღესასწაულის უქმე დღე და მის ნაცვლად ძალაში შედის 25 თებერვლის დღე, როდესაც „საქართველოს მშრომელთა მასები განთავისუფლდნენ მენშევიკებისა და ევროპის კაპიტალიზმისაგან“ (სშსსა, ფ. 14, II, უშიშროების არქივი, 6; კომუნისტი, 1922: 25. 05).

საქართველოს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში უკმაყოფილების მძლავრი მუხტი იყო დაგროვებული. ვის უნდა გარდაექმნა ეს მუხტი ორგანიზებულ წინააღმდეგობის მოძრაობად? ვის უნდა განესაზღვრა მოქმედების გზა და ეტვირთა ლიდერის ფუნქცია? ჩვეულებრივ, ეს ელიტის დანიშნულება და მოვალეობაა. რა ვითარება იყო ამ მხრივ ჩვენში? პოლიტიკური ელიტა აქ საბჭოთა ხელისუფლებს გამოცხადების დღიდანვე იდევნებოდა. ანტისაბჭოთა პარტიების მეთაური ნაწილი ან ციხე-გადასახლებაში იმყოფებოდა ან კიდევ ემიგრაციაში იყო გახიზნული;[7]

[6]დასახული მიზნის მისაღწევად კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო თეზისებიც შეიმუშავა და გამოაქვეყნა (იხ. კომუნისტი 1921: 25. 05). ამავე გაზეთში არაერთი სტატია მიეძღვნა 26 მაისის „საბჭოურად გააზრებას“.

[7] გაზეთ ,,გარდიანში“ გამოქვეყნებული, ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტის ჰ. ნევისონის ცნობით, რომელიც 1921 წ. ივლისის მდგომარეობას ასახავს, საბჭოთა რეჟიმთან წინააღმდეგობისათვის საქართველოს ციხეებში 2 ათასზე მეტი ადამიანი იყო გამოკეტილი იხ.https://www.theguardian.com/world/2016/jul/22/georgia-russia-domination-letter-1921?CMP=share_btn_tw

სამშობლოს იძულებით დატოვება მოუწია ქართული სამხედრო ელიტის უმნიშვნელოვანეს ნაწილსაც. სამეცნიერო ელიტა ფორმირების პროცესს განიცდიდა, კულტურულ ელიტას კი ჯერ კიდევ აკლდა შეკავშირება და ერთიანობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ვინმეს რომ განსახილველი პერიოდის საქართველოს პოლიტიკური რეიტინგები გამოეკვლია, ასეთ სურათს მიიღებდა: ხელისუფლების სათავეში მოქცეული საქართველოს კომუნისტური პარტია შეუმჩნეველი იყო. მისი მცირერიცხოვანი ორგანიზაციები ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის ინტერესს გამოხატავდნენ (კომპარტიის წევრთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. თუ 1921 წლისათვის იგი 9 ათასს ოდნავ აღემატებოდა (ნათმელაძე, მ. დაუშვილი ა. ჯაფარიძე, მ. წენგუაშვილი, კ. 2008: 49), 1923 წლისათვის 13 ათას ხუთას მიაღწია (თოიძე, ლ. 1999: 395). პოლიტიკურ ლანდშაფტში მთავარი ადგილი დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მოქმედ ძირითად ძალებს ეკავათ და გავლენებსაც საზოგადოების უმეტეს ნაწილზე ისინი ინარჩუნებდნენ. ეს ძალები იყვნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და მისგან გამოყოფილი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები („სხივი“), საქართველოს დემოკრატიული (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული) პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, მისგან გამოყოფილი სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. ყველა მათგანს, იდეოლოგიური ნაირგვარობის მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სულიკვეთება აერთიანებდა. ამის მიუხედავად, აუცილებელია ითქვას, რომ ესერთა და ფედერალისტთა მემარცხენე ჯგუფებმა მალევე „საბჭოთა ნიადაგზე“ გადაინაცვლეს და რეჟიმთან კონფრონტაციას მასთან თანამშრომლობა ამჯობინეს.[8] დამოუკიდებელ პარტიებად გაფორმებიდან მცირ ხანში (1921 წლის ბოლოსათვის) ესერებმა ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტეს, მემარცხენე ფედერალისტები კი 1923 წლის შემოდგომაზე კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანდნენ.

ანტისაბჭოთა პლატფორმაზე დარჩენილმა პარტიებმა განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურობა იკისრეს და საამისოდ პარიტეტული პრინციპით ინტერპარტიული ორგანო – დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩამოაყალიბეს. ბრძოლა არალეგალურად წარიმართებოდა. მისი მიზანი საქართველოს დეოკუპაცია და დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. მთავარი ლოზუნგი, რომელიც ანტიკომუნისტურ ძალებს აერთიანებთ, არის „საქართველოს დამოუკიდებლობა“ – დამოუკიდებლობა კომუნისტური წყობისა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან. ფართოდ გავრცელებული ლოზუნგია ასევე, წითელი არმიის გაყვანა საქართველოს საზღვრებიდან, – გვიმოწმებენ საარქივო დოკუმენტებიც (სშსსა, ფ. 14, საქმ. 37: 56).

[8] ამის მიუხედავად, ესერებიცა და ფედერალისტებიც ერთხანს მიიჩნევდნენ, რომ „მშრომელი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობას სთვლის რევოლიუციის უდიდეს მონაპოვრად და მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეელევა“ (სოციალისტ-ფედერალისტი, 1921: 28. 04).

საქართველოს თავისუფლება და სუვერენიტეტის აღდგენა მომდევნო წლებშიც საბჭოურ რეჟიმთან მებრძოლი პოლიტიკური პარტიების ძირითად მოთხოვნად რჩებოდა. თვით ჩეკას აღიარებით, ,,ჩვენი მოწინააღმდეგენი საბჭოთა წყობილების საპირისპიროდ არასოდეს ეყრდნობიან სოციალურ და კლასობრივ იდეალებს. ისინი ყოველთვის გაიძახიან რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაზე, საბჭოთა ხელისუფლების რუსიფიკატორობაზე, კულტურულ და ეროვნულ ჩაგვრაზე და გაურბიან აგიტაციას ეკონომიკურ საფუძველზე“ (სშსსა, ფ. 14, საქმ. 45: 85).

მოსახლეობის გამოსვლებს საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ თავდაპირველად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. იგი ძირითადად სამოქალაქო აქტივობაში, – ქუჩის დემონსტრაციებში, პეტიციების ფორმით ხელისუფლებისადმი მოთხოვნების წაყენებაში, უცხოეთის საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის ძიებაში და სხვ. გამოიხატებოდა. მშვიდობიანი პროტესტის გამოცდილი ფორმა იყო ასევე, პროკლამაციების გამოშვება. ეს ანტისაბჭოთა ხასიათის მოწოდებები არალეგალურ სტამბებში იბეჭდებოდა და კონსპირაციული მეთოდებით მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში ვრცელდებოდა. მათი შინაარსი და პათოსი რეჟიმთან დაპირისპირებული ძალების კონსოლიდაციას ემსახურებოდა.

1921 წელსვე მშვიდობიანი პროტესტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა: სვანეთში ანტისაბჭოთა აჯანყებამ იფეთქა, 1922 წელს კი იარაღი ფშავ-ხევსურეთმაც აღმართა. ქვეყანა პარტიზანული რაზმებით მოიფინა. ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ფორმირებას სათავეში ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი ედგა. პარტიზანული შენაერთების არსებობას ორგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა: ,,მას უნდა გაემაგრებინა ხალხში იმედი და ამავე დროს მოძალადე ხელისუფლებასაც უნდა შეკვეცოდა კადნიერება – რომ თავი დაუსჯელად არ ეგრძნო“ (ქავთარაძე, მ. 1979: 8). ხელისუფლებამ ამგვარი რაზმები იმთავითვე ,,ბანდებად“ მონათლა და მათ წინააღმდეგ დამსჯელი ოპერაციები გააჩაღა.

1921-1923 წლებში ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენის მდგომარეობას, განწყობებსა და ახალ რეჟიმთან მიმართებას საინტერესოდ გვისურათებს საქართველოს საგანგებო კომისია (საქჩეკა). ეს უწყება შექმნისთანავე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სისტემატურად წარადგენდა ანგარიშებსა და საინფორმაციო ცნობებს. მათში მოსახლეობის დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმთან კატეგორიების მიხედვით არის აღწერილი. გამოყოფილია მუშათა, გლეხთა, მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის, სამღვდელოებისა და ინტელიგენციის ჯგუფები. ყურადღება მახვილდება სტუდენტობაზე, მასწავლებლებსა და მილიციაზე, ასევე, ლაპარაკია თავადაზნაურობაზე, ოფიცრობაზე და სხვა წოდებაზე, მაშინ როდესაც მოსახლეობის წოდებრივი დაყოფის უარმყოფელი დეკრეტი რუსეთში ჯერ კიდევ 1917 წლის 11(24) ნოემბერს გამოიცა და ამოქმედდა (Декреты, 1957: 72).

ძველი სოციალური იერარქია ძალაში აღარ იყო, იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში გაუქმდა ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში

გამოქვეყნებული დებულებით მოქალაქეობის ანუ ქვეშევრდომობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის პირველ ხანებში არა მხოლოდ ზეპირ საუბრებში, – ოფიციალურ ტექსტებშიც კი საზოგადოებას მაინც წინანდელ წოდებებად და ფენებად ახარისხებდა.

საქჩეკას დოკუმენტებში ძირითადად თბილისში არსებული ვითარებაა დახასიათებული, თუმცა ზოგჯერ სურათი რეგიონების მიხედვითაც არის გაშუქებული. ამ უწყების ერთ-ერთ ანგარიშის მიხედვით, რომელიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 15 აპრილამდე პერიოდს მოიცავს, ამგვარი რეალობა იხატება: „მუშები და პროლეტარიატის პირობებში მყოფი მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლებას თანაუგრძნობს. ბოლშევიკების შემოსვლას განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდნენ საქართველოს იმ კუთხეებში, რომლებიც დასახლებულია არაქართველი ეროვნებებით: სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, ბორჩალო და სხვა.

გლეხობა ახალ მმართველობას არაკეთილმოსურნედ ეპყრობა. ბურჟუაზიული ჯგუფები კი რეჟიმს უარყოფითად და მტრულად ეკიდებიან. მსხვილი ბურჟუაზია განწყობილია უდავოდ ანტისაბჭოურად და კონტრრევოლუციურად; წვრილი ბურჟუაზია ანტიპროლეტარული პარტიების აგიტაციამ დააფრთხო, მაგრამ დარწმუნდა რა მისდამი ხელისუფლების რბილ პოლიტიკაში, ეს უკანასკნელი უხალისოდ და ლოდინით უყურებს ბოლშევიკებს, მომავალში ვითარების შეცვლის შიშით;

სამღვდელოება აშკარად კონტრრევოლუციურია, მაგრამ აქტიურ საქმიანობას არ ამჟღავნებს; მილიცია მეტისმეტად არასაიმედოა“.

ინტელიგენციის სულისკვეთების წარმოსაჩენად საქჩეკას ანგარიშში სახელმწიფო ოპერის თეატრია მოყვანილი. ხაზგასმული, რომ აქ დასაქმებული 390 კაციდან მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა გაერთიანებული კომუნისტურ უჯრედში, ყველა დანარჩენი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მკვეთრად უარყოფითადაა განწყობილი. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიისადმი გორის მაზრაში არასაიმედოა; ოზურგეთის მაზრა მთლიანად კონტრრევოლუციურია, განწყობილია მტრულად; ფოთის მაზრის მოსახლეობა აყოლილია ანტისაბჭოთა პროვოკაციებს; დუშეთის მაზრაში შეიმჩნევა ლოდინის პოლიტიკა; მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში ძალზე ცუდია; ბათუმის ოლქში მასების განწყობილება უმეტესად არასასურველია. ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება გულცივია და მას უყურებენ როგორც დროებითსა და წარმავალს; კახეთის რკინიგზაზე მომსახურეთა შორის შეიმჩნევა ძლიერი შოვინიზმი. ანტისაბჭოთა აგიტაცია წარმოებს ახლად შექმნილ ქართული არმიის ნაწილებში (სშსსა, ფ. 14, საქმ. 37: 28; 47; 54-60; 70; 76; 135) და სხვა.

ქუთაისის რევკომის თავმჯდომარის აღიარებითაც კი: „ქალაქი ქუთაისი არის მეშჩანური ქალაქი, რომლის დიდი უმრავლესობა ვაჭრობა-სპეკულაციას ეწევა და, რა თქმა უნდა, ასეთი შემადგენლობა ვერ იქნება კარგად განწყობილი მთავრობასთან“ (ქებულაძე, კ. 2025: 41).

პოეტ გრიგოლ რცხილაძის თანახმად, ქართველი მწერლები დაყოფილი იყვნენ „თანამგზავრებად“. „მწერალთა შორის ძალიან მცირე ნაწილი იყო, რომელნიც აშკარა მტრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი. დანარჩენ მწერლებს შორის დიდი განსხვავება საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში არ იყო და თანამზავრთა რიცხვი დღითი დღე მრავლდებოდა, თუმცა „თანამგზავრი“ ჯერ კიდევ მთლიანად არ იზიარებდა ბოლშევიკურ მსოფლმხედველობას“. აღნიშნულის არგუმენტად პოეტი ლეო ქიაჩელის ერთ ხუმრობას იმოწმებს და გადმოგვცემს: „ივ. ყიფიანის ფანტასტიკურ მოთხრობა „ამონში“ ერთ-ერთი გმირი გამოიგონებს ისეთ ბეჭედს, მიაშუქებ თუ არა კაცს, მაშინვე გაიგებ, რას ფიქრობს გულში. როცა ამ მოთხრობის საჯარო განხილვის შემდეგ შინ ვბრუნდებოდით, გზაში ლეო ქიაჩელმა იხუმრა: მართლარომ გამოიგონონ ასეთი ბეჭედი, მერე „თანამგზავრის“ ცხოვრება არაფრად ეღირებაო“ (ცეცხლაძე, 1982: 142).

საბჭოთა რეჟიმისადმი იმთავითვე უარყოფითი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურისა და სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის, – ზოგადად, ქართველი ინტელიგენციის მიმართება.

1921 წლის 3 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა გაერთიანებული კრება ჩაატარეს. კრებამ, რომელსაც 2000 სტუდენტი დაესწრო, დაგმო რევკომის უხეში ძალადობა, რაც უდანაშაულო მუშების დაპატიმრებაში გამოიხატა. ღრმა თანაგრძნობა და სოლიდარობა გამოუცხადა დაპატიმრებულსა და მათი დაუყონებლივ განთავისუფლება მოითხოვა (ანტისაბჭოთა, 2024: 13; 149).

საბჭოთა რეჟიმის უსამართლობისა და ძალმომრეობის შესახებ ქართველმა სტუდენტებმა ინფორმაცია ქვეყნის გარეთაც გაავრცელეს. მსოფლიოს უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის გაგზავნილ მათ საგანგებო წერილში მოთხრობილი იყო ხსენებული ფაქტის შესახებ და ამის საპროტესტოდ გამართული სტუდენთა კრებისა და მიღებული დადგენილების თაობაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 4000 სტუდენტიდან 1200 გარიცხეს და არაერთი პროფესორ-მასწავლებელიც დააპატიმრეს. თავის თანამშრომელთა განთავისუფლებას თავდებად უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დაუდგა (ანტისაბჭოთა, 2024: 6).

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს საგანგებო კომისიის მასალებში თავმოყრილ ინფორმაციას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „თითქმის არ არიან საბჭოთა პლატფორმაზე გამოკვეთილად მდგომი და ხელისუფლებისადმი

ერთგული პროფესორები“ და რომ: საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დაახლოებით ნახევარი არ ცნობდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას და აქტიურად მუშაობდა ახალგაზრდა მარქსისტთა, ეროვნულ-დემოკრატთა თუ სოციალისტ-ფედერალისტთა არალეგალურ ორგანიზაციებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მიხეილ კახიანი საკავშირო კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე გამოსვლისას 1928 წლის 27 აგვისტოს აცხადებდა: ,,ადრე ინტელიგენციაში დიფერენციაცია არ იყო, თითქმის მთელი ინტელიგენცია ჩვენს წინააღმდეგ იყო, ჩვენ გვთვლიდა მტრულ საოკუპაციო ძალად და ცდილობდა განვედევნეთ, იმედს ამყარებდა დასავლეთ ევროპულ იმპერიალისტებზე. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პირველ წლებში” (ციციშვილი, გ. 1995: 155).

„ქართველ ინტელიგენტს დღემდის ჩვენსკენ პირი არ მობრუნებია, სულ მუდამ ზურგი ქონდა მოქცეული და მისჩერებია ევროპაში ჟორდანიას. მას უნდა ისარგებლოს ჩვენი ჯამაგირით, რომ ჩვენვე ყელი გამოგვჭრას”, – ასე ახასიათებდა ქართველი ინტელიგენტური ფენის პოზიციას სერგო ორჯონიკიძე თავის ერთ-ერთ გამოსვლაში (კომუნისტი, 1924: 5. 10).

საქჩეკას 1921 წლის აპრილის ინფორმაციით, უახლოეს დროში მოსალოდნელია მსხვილი გლეხობის, ნაციონალისტური ინტელიგენციის, უმუშევარი თავადაზნაურობისა და ოფიცერთა გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ტერორი მის მუშაკთა მიმართ. ეს ალბათ მიიღებს ცალკეული შეიარაღებული ბანდების სახეს, მით უფრო, რომ ჩვენს ახლანდელ მოწინააღმდეგეებს წარსულში – ცარიზმის დროს – ამგვარი გმირული ბრძოლის მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ (სშსსა, ფ. 14, საქმ. 37: 36).

საგანგებო კომისიის ხსენებული დაკვირვებანი, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ახალი ხელისუფლებისადმი საქართველოში არაერთგვაროვანი იყო, – ძირითადად რეალისტურია. არსებობს სხვა მასალაც, რომელიც მოწმობს საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური ორგანიზაციებისა თუ ცალკეული ადამიანების მიმართ განხორციელებულ დევნას, დაპატიმრებებსა თუ გადასახლების ფაქტებს. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მემარცხენე ფედერალისტურ გაზეთს „ტრიბუნა“, რომლის იუმორისტულ ჩანართში დაიბეჭდა კუპლეტი სათაურით „ჩეკა და ცეკა“.

„ჩეკამ უთხრა ცეკასა: – აწი რაღა ვქნაო,
დავიჭირე სულ ყველა, ვინც კი რამე სთქვაო.
საქმე აღარა მაქვს რა, არც დარდი მასვენებსო.

ცეკამ ასე მიუგო: უნდა მოსდგე ჩვენებსო“[9] (ტრიბუნა, 1922: 26.03).

,,ჩვენი ხალხის სულისკვეთება ჯერ კიდევ უდრეკი და შეურიგებელია. რუსებისადმი სიძულვილი ასე დიდი არასოდეს ყოფილა, როგორც დღეს“ (საქართველოს სსრ 1921, 17), – ამგვარად ახასიათებდა საქართველოში არსებულ ვითარებას კონსტანტინე გვარჯალაძე 1923 წ. მაისში, სტამბოლიდან პარიზში, აკაკი ჩხენკელისათვის გაგზავნილ წერილში და, უნდა ითქვას, რომ სინამდვილეს დიდად არც ის აზვიადებდა.

ვნახოთ, რა განაპირობებდა საზოგადოების ამა თუ იმ ფენის განსხვავებულ მიდგომას საბჭოთა რეჟიმისადმი.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართულ სოფელს არ განუცდია მასშტაბური სოციალური კატაკლიზმები. მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია აქ თითქმის უმტკივნეულოდ გატარდა და აგრარული რეფორმის შედეგად გლეხობის უდიდესმა ნაწილმა მიწა, გამოსყიდვის გზით, კერძო საკუთრებაში მიიღო (გლეხებს დაახლოებით 340 000-ზე მეტი დესეტინა მიწა გაუნაწილდა).[10]

ბოლშევიკურმა რეჟიმმა საპირისპირო პროცესი – ნაციონალიზაცია განახორციელა და მიწა სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრებად გამოაცხადა (საქართველოს სსრ 1921, 17). მიწის ნაკვეთები ახლა, პირველ რიგში უღარიბეს და ღარიბ გლეხობას, მფლობელობაში ეძლეოდა და მისი გასხვისება ეკრძალებოდა. მართალია, მიწის სიმცირისა და კომლთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდის გამო, დადგენილი ნორმით (აღმოსავლეთ საქართველოში კომლზე საშუალოდ 4, ხოლო დასავლეთ საქართველოში 2,5 დესეტინა) ,,მშრომელი გლეხობის“ უზრუნველყოფა გაჭიანურდა, მაგრამ ამის ერთგვარი კომპენსაცია იყო თავადაზნაურთა და შემლებულ გლეხთა მამულების თვითნებური მიტაცება, საქონლის, ინვენტარის მითვისება და სხვა, რომელზედაც ხელისუფლება თვალს ხუჭავდა. მაგალითად, პერიოდული პრესის ცნობით: თელავის მაზრაში „აღარ დარჩა არც ერთი ალაგი, კუთხე, სადაც გლეხობა კეტებით, სახრეებით არ გამოდგომოდეს თავადებს და კუდით ქვა არ ესროლინებინოს“ (მუშა, 1924: 18. 09). ასე იყო თითქმის მთელს საქართველოში.

ახალმა ხელისუფლებამ გადადგა პირველი ნაბიჯები მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის შესაწევნად, გაათავისუფლა ისინი გადასახადებისაგან, შემოიღო დაბალპროცენტიანი კრედიტი და სხვა, რის შედეგადაც მათ მატერიალურ მდგომარეობას რამდენადმე გაუმჯობესება დაეტყო. თავის მხრივ, შეცვლილი ეკონომიკური ყოფა ზეგავლენას ახდენდა ადამიანების განწყობებზე და მათი

[9] სტროფის უკანასკნელი ფრაზა ერთგვარად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: 1930-იან წლებში ე. წ. პარტიულ წმენდას ათასობით „თავისინის“ – ბოლშევიკის რეპრესირებაც მოჰყვა.

[10] ნოე ჟორდანიას სიტყვით, საქართველოში ისე გატარდა აგრარული რეფორმა, რომ სამოქალაქო ომი არ ამტყდარა (ერთობა, 1918: 10. 12). საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულ მიწის რეფორმას მაღალ შეფასებას აძლევდა ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ლეიბორისტი რამზეი მაკდონალდი და სხვ.

შეხედულებების ტრანსფორმაციასაც განაპირობებდა: უმთავრესად პრაგმატული მოსაზრებებით და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, უღარიბესი და ღარიბი გლეხობა რეჟიმის ერთგული ხდებოდა.

საშუალო გლეხობა თავიდან მერყეობდა, ცვლილებებს ეჭვით უყურებდა და დროდადრო ეწინააღმდეგებოდა კიდეც საბჭოთა ხელისუფლებას. ამ კატეგორიის მოსახლეობა კეთილგანწყობით ეკიდებოდა ანტისაბჭოთა პარტიზანულ რაზმებს, იფარავდა და საკვებ-სანოვაგით ამარაგებდა მათ წევრებს, მაგრამ ახალი რეჟიმის განმტკიცების პარალელურად, იძულებული ხდებოდა მასთან შეგუების გზას დადგომოდა. ქართული ემიგრანტული გაზეთის ,,ბრძოლის ხმის“ სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს იყო ,,იძულებითი შერიგება შესაფერისი მომენტის მოახლოებამდე“ (ბრძოლის ხმა, 1929: 1.11).

საბჭოთა რეჟმის სოციალურ საძირკვლად მუშათა კლასია მიჩნეული. საქართველოში იმ დროისათვის მუშათა ოდენობა დიდი არ ყოფილა (დაახლოებით 30-32 ათასი კაცი) და ამასთან, მისი უმრავლესობის პოლიტიკური სიმპათია 1921-1923 წლებში კვლავ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. დასტურად რამდენიმე ფაქტს დავიმოწმებ:

1. 1921 წლის „18 მაისს ქუთაისში შესდგა გასამართლება ვ. ლენინის და ნ. ჟორდანიასი. თეზისები წინდაწინვე იყო წარდგენილი და ნებადართული კომუნისტების რევკომისაგან. ...მოსამართლეებმა და დამსწრე საზოგადოებამ, რომელიც ძალიან ბევრი დაესწრო და გასამართლებაში მონაწილეობას ღებულობდა, ვ. ლენინს სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო ნ. ჟორდანია ცამდე აიყვანეს. ამით გაბრაზებულმა საშა გეგეჭკორმა (რევკომის თავმჯდომარე) ინიციატორები იქვე დააპატიმრა“ (თავისუფალი საქართველო, 1921: 15. 06).

2. 1921 წლის ზაფხულში, სილიბისტრო ჯიბლაძე ემიგრაციაში გახიზნულ თანაპარტიელ ლიდერებს თბილისიდან წერდა: „ხალხი მოუთმენლად მოგელით და მეშინია, ლოდინში მოთმინება არ დაკარგოს. მოგელით ბევრი იმათგანიც კი, რომლებიც წასვლისას „წინ წყალსა და უკან მეწყერს“ გაყოლებდათ“ (სეა სცა, ფონდი 2117, საქმ. 11: 18).

3. თითქმის იგივე აზრია გატარებული ნიკოლო მიწიშვილის იმდროინდელ ნაწარმოებში „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“, რომელშიც ვკითხულობთ: „გუშინ, როცა ბოლშევიზმი ყველას დაღუპვა ეგონა, – ხალხი მენშევიკებს აძაგებდა. ახლა კი, როცა დავრწმუნდით, რომ ბოლშევიზმი ერის დაღუპვა არ ყოფილა, – ბევრი ქართველი ობივატელი მენშევიკებს ეძახის უკან. ... ბევრი მათგანი, ვინც ერთ დროს მენშევიკებს დახოცვას უპირებდა, – ჟორდანიას იგონებს თანაგრძნობით“ (მიწიშვილი, ნ. 2006: 49).

4. ვლასა მგელაძის, იოსებ ირემაშვილის, დავით საღირაშვილისა და სხვათა მოგონებების თანახმად, 1921 წლის ივლისში, საქართველოში ჩამოსულ ი. სტალინს,

ნაძალადევის კლუბში შეხვედრისას, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში მრავლად იყვნენ ჩეკისტები და გადაცმული ჯაშუშები, თბილისელმა მუშებმა დიდი ობსტრუქცია მოუწყვეს (ნარიმანიძე, ე. 2000: 35-36). „კრება გადაიქცა უდიდეს ანტიბოლშევიკურ დემონსტრაციათ“ (თავისუფალი საქართველო, 1921: 10. 08). სტალინი ჩეკისტებმა გააპარეს, ხოლო ისიდორე რამიშვილი[11] და ალექსანდრე დგებუაძე[12] აღტაცებულმა ხალხმა დარბაზიდან ხელში აყვანილი გამოიყვანა. ორივენი ყიჟინით და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით ნაძალადევის უბანში გაატარეს (მგელაძე, ვ. 1936: 17).

საოკუპაციო რეჟიმით უკმაყოფილო მუშები პროტესტის მშვიდობიან ფორმებს – გაფიცვებს, მიტინგებს, პოლიტიკურ მოთხოვნებს მიმართავდნენ და თავიანთ ბრძოლაში, ემიგრაციაში გახიზნული მთავრობის მეშვეობით, საერთაშორისო პროლეტარიატის მხარდაჭერას იმედოვნებდნენ.

განსახილველ პერიოდში მძიმე იყო სოციალური ფონიც. გვალვამ პურის მოსავალი გაანადგურა, დაიწყო შიმშილობა. ინფლაცია სწრაფად გაიზარდა. „ნახევარი მილიონი მინუმუმია ოჯახისათვის თვეში. პური სამიათას ხუთასია გირვანქა, ...სპიჩკა ათასი მან. მთელი ტიპოგრაფიები რომ აამუშაონ, ვერ დააკმაყოფილებენ ფულის მოთხოვნილებას“, – ვკითხულობთ ერთ იმდროინდელ დოკუმენტში (სეა სცა, ფონდი 2117, საქმ. 11: 19).

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და რკინიგზის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შემდეგ დიდ ყურადღება მიექცა ამ სფეროში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების მატერიალურ და მორალურ სტიმულირებას. შემოიღეს შრომითი ხელშეკრულებებისა და ხელფასის სატარიფო სისტემა, მშრომელთათვის დაწესდა სოციალური დაზღვევა და ზოგიერთი სხვა პრივილეგია, პარალელურად, გაძლიერდა მასობრივი პროპაგანდა (უფრო სოციალური დემაგოგია) და სხვ. ამასთან, საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენადმე დაძლია სახალხო მეურნეობაში არსებული ქაოსიც და ათეულ ათასობით ადამიანს სტაბილურობისა და უკეთესი ცხოვრების იმედი გაუჩინა. ყოველივე ეს თანდათან რეჟიმისადმი მუშათა კლასის ლოიალობას განაპირობებდა.

ცნობილია, რომ ქართულ საბჭოთა პრესაში არცთუ იშვიათად იბეჭდებოდა ახალი სინამდვილით აღფრთოვანების გამომხატველი კორესპონდენციები მუშათა ან გლეხთა ჯგუფების კოლექტიური ხელმოწერებით. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება, მედიის მეშვეობით, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მანიპულირებას ახდენდა. ეს წერილები დიდწილად შეკვეთით იწერებოდა ან კიდევ თვით ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მზადდებოდა. ამდენად, მათი სულისკვეთება ნაკლებად

[11] ცნობილი სოციალ-დემოკრატი, მესამე დასის წევრი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს პირველი მოწვევის დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.
[12] მუშა-რევოლუციონერი.

გამოდგება საზოგადოებრივი განწყობის ბარომეტრად. როგორც ზემოთ დავინახეთ, ,,ბრძოლა მასებისათვის“ 1921-1923 წლებში ჯერ დამთავრებული არ იყო და არსებულ რეჟიმს მთელი მშრომელი კლასი არ თანაუგრძნობდა. ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი ბოლშევიკის მიხეილ ოკუჯავას სიტყვები, რომელიც ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას ასე ახასიათებდა: ,,კომპარტია ორგანიზაციულად შევიდა რევოლუციაში. ის ემყარებოდა მუშათა და გლეხთა უცილობელ თანაგრძნობას. საქართველოში ასე არ ყოფილა. აქ მასა ჩვენს წინააღმდეგ იყო. ასეთ პრობებში ჩვენ უნდა დაგვეპყრო მასები“ (სშსსა, ფ. 14, საქმ.182: 61). დაახლოებით ასეთვე აზრია გატარებული სხვა ქართველი ბოლშევიკი ლიდერის – ლევან ღოღობერიძის 1921 წლის 26 აგვისტოს ერთ-ერთ წერილშიც, რომელშიც ვკითხულობთ: ,,ამ მომენტში არა მარტო ქალაქი, არამედ სოფელიც ცხოვრობს ხელისუფლების სწრაფი შეცვლის ნერვული მოლოდინით. საკმარისია შეიხედოთ ნებისმიერ სოფელში, რომ გაიგონოთ საბჭოთა ხელისუფლების გინება და წყევლა-კრულვა“ (ციციშვილი, გ. 2003: 404).

ჩემს მიერ ზემოთ დამოწმებულ საქჩეკას დოკუმენტში მითითებულია ხელისუფლების რბილ პოლიტიკაზე წვრილი ბურჟუაზიის მიმართ. აქ იგულისხმება ე. წ. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (Неп), რომლის შემოღებას საზოგადოების ამ ნაწილის გამოცოცხლება და გააქტიურება მოჰყვა (Janelidze, O. 2024: 111-124).

ეკონომიკის ერთგვარმა ლიბერალიზაციამ, კონცესიების პრაქტიკამ, წვრილი ვაჭრობის დაშვებამ, კოოპერატივების განახლებამ და სხვა, რომელმაც მეტი გასაქანი მისცა კერძო ინიციატივას, მესაკუთრეთა ეს ფენა მისთვის ტრადიციულ საქმიანობას დაუბრუნა და, პოლიტიკური თვალსაზრისით, საბჭოთა რეჟიმისაგან რამდენადმე დისტანცირებულ, მომლოდინე საზოგადოებად აქცია.

რაც შეეხება მოსახლეობის არისტოკრატიულ და შეძლებულ წრეებს, მათი მარგინალიზაციით – ქონების ჩამორთმევითა და უფლებების შეზღუდვით, საბჭოთა წყობილებამ ისინი იმთავითვე შეურიგებელ მტრად გაიხადა. ბოლშევიკები მათ მიმართ უმეტესად დამთრგუნველ ღონისძიებებს მიმართავდნენ. ოფიციალური მონაცემებით, მარტო საქართველოს ოკუპაციიდან 1921 წლის დეკემბრის ბოლომდე საგანგებო კომისიამ 144 კაცი დახვრიტა (სშსსა, ფ. 14, საქმ. 54: 150). 1923 წლის მაისში გაუსამართლებლად დახვრიტეს დამოუკიდებლობის კომიტეტის ,,სამხედრო ცენტრის“ სრული შემადგენლობა – 15 გენერალი და მაღალი რანგის ოფიცერი და სხვ.

ფართო მასშტაბით წარმოებდა რელიგიური დევნაც. საქართველოს რევკომის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით ,,საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებებს“ საკუთრების უფლება ჩამოერთვათ და იურიდიული სტატუსიც გაუუქმდათ. ეკლესია ფაქტობრივად კანონგარეშედ გამოცხადდა. ,,იჭერდნენ მღვდლებს, წვერს ჰკრეჭდნენ და მერე ციმბირში აგზავნიდნენ. ხურავდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს და ეს მოქმედება დიდად არ განირჩეოდა ძველი რუსეთის მოქმედებისაგან“ (მანველიშვილი, ა. 1984: 324). საპყრობილეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაიაც კი ჩასვეს. მხცოვან მღვდელმთავარს არ აპატიეს გენუის

საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის მემორანდუმის გაგზავნა, რომლითაც იგი საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანას მოითხოვდა და ორი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. თუ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე საქართველოში 1600-მდე სასულიერო პირი მოღვაწეობდა, 1923 წლისათვის მათი რიცხვი 500-მდე შემცირდა.

ხელისუფლების მიერ იყო მართული ანტირელიგიური კამპანია, რომელიც, როგორც საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. კახიანი მოსკოვს უპატაკებდა, აიტაცა ,,მუშებისა და გლეხების ფართო მასებმა". ამავე დოკუმენტის თანახმად: ,,ზოგიერთ სოფელში გლეხობა ისე იყო გაბრაზებული, რომ მზად იყვნენ ძირფესვიანად დაენგრიათ ეკლესიები… ბევრ სოფელში გლეხები ეკლესიებიდან ყრიდნენ ხატებს, ჯვრებს და იქვე დადგენილება გამოჰქონდათ მთელი ამ ნაგვის დაწვისა და ეკლესიის შენობების კულტურის ტაძრად გადაქცევის შესახებ" (ნათმელაძე, მ. დაუშვილი ა. და სხვ. 2008: 125).

მკაცრ იდეოლოგიურ წნეხში მოექცა და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქართული ინტელიგენცია, რომლისაგანაც ახალმა ხელისუფლებამ რეჟიმის ერთგულება, მის სამსახურში მორჩილად ჩადგომა მოითხოვა. საამისოდ ზოგიერთი ბოლშევიკი ლიტერატურული საგანგებო კომისიის შექმნის წინადადებასაც კი აყენებდა (კვერენჩხილაძე, რ. 1996: 169).

უაღრესად მძიმე იყო ქართველი ინტელიგენციის მატერიალური ყოფაც. ქართული ემიგრანტული გაზეთის ,,თავისუფალი საქართველოს" ცნობით, ,,ინტელიგენციის მდგომარეობა საქართველოში აუტანელია. ვინც მსახურობს შიმშილით კვდება, ვინც არ მსახურებს კიდევ უარეს მდგომარეობაშია. ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობასაც კი შიმშილობის ნიადაგზე" (თავისუფალი საქართველო, 1921: 15. 07, 16).

,,ძველი" ინტელიგენტური კადრების დათრგუნვისა და გადაბირების პარალელურად, ხელისუფლება ამ ფენის პროლეტარიზაციას და საკუთარი, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნასაც შეუდგა. როგორც ნ. ბუხარინი ამბობდა, ასე იშტამპებოდა მრავალი ,,მწერალი", ,,წითელი პროფესორი", ,,მუშა-კორესპონდენტი" და სხვ.

ინტელიგენციის თავდაპირველი საპროტესტო შემართება მალე ფრონდისტულ განწყობამდე დაეშვა, მერე კი ეს ისედაც ძნელად შესაკავშირებელი ფენა თითქმის დათითოკაცდა, რეჟიმს მოერგო და მასთან შერწყმის გზას დაადგა. ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ხელისუფლებისადმი ლოიალობა რეპრესიების შიშმა აიძულა,[13] ზოგმა კი იგივე გზა ტაქტიკური მოსაზრებით აირჩია, რათა ეროვნული საქმის სამსახური ლეგალური გზით გაეგრძელებინა. პარალელურად, თანდათან

[13] შიში და ძალადობა საქართველოში მისი დაპყრობისთანავე გამეფდა, თუმცა პირველ ხანებში ხელისუფლება გარკვეულ ლოიალობასაც იჩენდა, – საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდისათვის დაკავებულ ცალკეულ პიროვნებას, სხვადასხვა მოსაზრებით, საპატიმროდან ათავისუფლებდნენ. აღსანიშნავია, რომ ბევრ მათგანს ჩადენილი დანაშაული 30-იან წლებში გაუხსენეს და კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯეს (იხ. ბოლშევიზმი, 2016, 281: 313).

ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთა რიცხვიც მომრავლდა, რომელიც კომპრომისზე წავიდა, კარიერისა თუ პრივილეგიებისათვის ხელისუფლებას მიეყიდა და სხვ.[14]

საგანგებო კომისია ზემდგომ ორგანოებში წარდგენილ თავის მოხსენებებში მიუთითებდა, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, კერძოდ სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, ბორჩალოს მოსახლეობა და სხვ. საბჭოთა ხელისუფლებას კეთილგანწყობითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ. ბოლშევიკურმა რეჟიმმა ეს კეთილგანწყობა იმით მოიპოვა, რომ ხელგაშლით დააკმაყოფილა სეპარატისტული ძალების მისწრაფებანი და აფხაზებსა და შიდა ქართლში კომპაქტურად ბინადარ ოსებს პოლიტიკური ავტონომიური ერთეულები შეუქმნა.[15] რაც შეეხება რუსულ მოსახლეობას, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეხუთე კოლონის როლს ასრულებდა, ამიტომ გასაკვირი არ არის რომ, დივიდენდების მოლოდინში, ახალ ხელისუფლებას ისიც აღფრთოვანებით მიგებებოდა.

ბოლშევიკური ხელისუფლება თავის მთავარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მაინც ანტისაბჭოთა პარტიებს მიიჩნევდა. ამიტომ შემთხვევით არ არის, რომ ჯერ კიდევ 1922 წლის 17 თებერვალს გამოიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება 48 საათის განმავლობაში სამუშაოდან „ყველა მენშევიკისა და მემარჯვენე ფედერალისტის“ განთავისუფლების შესახებ. ამავე პერიოდიდან ამოქმედდა ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის ლიკვიდაციის გეგმაც (ჯორჯიკია, ნ. 2009: 44).

ქართული საზოგადოების განწყობაზე აისახებოდა ხმები პროლეტარიატის ბელადის – ლენინის მძიმე ავადმყოფობის შესახებ, რომელებიც მის გარდაცვალებამდე კარგა ხნით ადრე ვრცელდებოდა. საუბრობდნენ, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიასა და მთავრობაში მოხდებოდა განხეთქილება, მსჯელობდნენ ლენინის პოლიტიკური მემკვიდრის შესახებ, მოელოდნენ ნეპ-ის შესაძლო შეწყვეტას და მისთ. მას შემდეგ, რაც 1923 წლის მარტში გაზეთმა „პრავდამ“ საბჭოთა ლიდერის ავადმყოფობის ცნობა ოფიციალურად გამოაქვეყნა, საზოგადოების რეაქცია არაერთგვაროვანი იყო. სოფლად ანტისაბჭოთა ელემენტებში ნიშნის მოგების, ხოლო უღარიბეს ფენებში მწუხარებისა და თანაგრძნობის განწყობა შეინიშნებოდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც ლენინის გარდაცვალებას საბჭოთა წყობის აღსასრულსაც უკავშირებდა (Минаков, С. 2009: 40). ასეთ სინამდვილეშიც კი რჩებოდა ქართული საზოგადოების უკომპრომისო, ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლი ნაწილი, რომელიც ლოდინის ან რეჟიმთან შერიგების ნაცვლად, ახალი აჯანყებისათვის ემზადებოდა.

---

[14] პოეტი ალიო მაშაშვილი თბილისის ინტელიგენციის საქალაქო კრებაზე 1939 წლის აპრილში სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ „საქართველოს მწერლები თავიანთ რიგებში ითვლიან ცამეტ ორდენოსანს.“ იხ. ლიტერატურული საქართველო, 1939: 30. 04.

[15] მეტიც, აფხაზეთი 1921 წლის მარტიდან 1931 წლის თებერვლამდე საქართველოსთან ხელშეკრულებით დაკავშირებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკადაც კი იწოდებოდა, თუმცა ფაქტობრივად იგი ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით სარგებლობდა.

დასკვნა

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ახალი, ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ უნდობლობითა და შეურიგებლობით განეწყო. საზოგადოების უკმაყოფილება დასაწყისში მშვიდობიან საპროტესტო მოძრაობაში გამოიხატა, რასაც შემდეგ სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ფშავ-ხევსურეთში ანტისაბჭოთა აჯანყებები მოჰყვა.

1921-1923 წლების საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისადმი საზოგადოების განსხვავებული მიმართება აღინიშნა: უღარიბესი ფენა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, რეჟიმის ერთგული გახდა. ბოლშევიკთა სოციალური დემაგოგიის გავლენით, მოსახლეობის ნაწილი რეჟიმს უკეთესი ცხოვრების მოლოდინით მიემხრო. ბევრი იყო ისეთი, ვინც ხელისუფლებისადმი ლოიალობა რეპრესიების შიშმა აიძულა, ზოგიც იმავე გზას ტაქტიკური მოსაზრებით დაადგა, სრულიად უკომპრომისონი კი შერიგების ნაცვლად, თავისუფლებისათვის ბრძოლას განაგრძობდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ანტისაბჭოთა. (2024). ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში 1921-1924, ნარკვევი. დოკუმენტები. გამოსაცემად მოამზადეს ლევან ჯიქიამ და დიმიტრი სილაქაძემ. თბილისი.

ბოლშევიზმი. (2016). ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა. 1921-1941, თბილისი.

გურული, ვ. (1999). *ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი,* თბილისი.

თალაქვაძე, ნ. (2013). *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან,* თბილისი.

თოიძე, ლ. (1999*). საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები),* თბილისი.

კვერენჩხილაძე, რ. (1996). *არც იანიჩრებს ინდობდნენ, არც თავის ერის ერთგულებს,* ჟურნ. ,,მნათობი“, 1996, # 5-6.

ლორთქიფანიძე, გ. (1995). *ფიქრები საქართველოზე,* თბილისი.

მანველიშვილი, ა. (1984). *რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა,* სან-ფრანცისკო.

მასალები, 2007. *მასალები სპირიდონ კედიას პირადი არქივიდან. შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ,* თბილისი.

მგელაძე, ვ. (1936). *რუსეთის მობრუნება საქართველოში,* პარიზი.

მიწიშვილი, 2006. *ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან,* თბილისი.

ნათმელაძე, მ. დაუშვილი ა. ჯაფარიძე, მ. წენგუაშვილი, კ. (2008). *საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების პირველი ეტაპი. 1921-1923*, თბილისი.

ნარიმანიძე, ე. (2000). *ი. ბ. სტალინის შეხვედრა თბილისელ მუშებთან (1921 წლის 5 ივლისი),* ალმანახი ,,კლიო", 2000, # 19.

სარჯველაძე, პ. (1971). *იმედი და რწმენა,* წიგნი 1, პარიზი.

საქართველოს სსრ (1921, 17). საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, 1921 წ. აპრილის 6, N 17.

ქავთარაძე, მ. (1979). *სპირიდონ კედია. ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვთები მოღვაწისა და კაცის პორტრეტისათვის,* ჟურნ. ,,ივერია", პარიზი, # 22.

ქებულაძე, კ. (2025). *საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ქუთაისის მაზრაში 1921-1924 წლებში1921-წლებში,* ქუთაისი.

ქიქოძე, გ. (2003). *თანამედროვის ჩანაწერები,* თბილისი.

ცეცხლაძე, გ. (1984). *მოგონებები,* ჟურნ. „ლიტერატურის მატიანე", თბ., 1982, # 7-8, გვ. 142.

ციციშვილი, გ. (1995). *გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები,* ჟურნ. ,,ცისკარი", 1995, # 1-2.

ციციშვილი, გ. (2003). *სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ,* თბილისი.

ჯორჯიკია, ნ. (2009). *საქართველოს პოლიტიკური პარტიები 1921-1925 წლებში,* თბილისი.

Janelidze, O. (2024). *The Soviet Experiment of New Economic Policy (NEP) and Geoggia (1921-1928)*, „ისტორია. არქეოლოგია. ეთნოლოგია", 2024, # XII. http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/589/531 (10. 10. 2025)

Декреты 1957. Декреты Советской власти, т. I, Москва.

Минаков, С. (2009: 40). *Наследник Ленина и „спаситель России?"* https://cyberleninka.ru/article/n/naslednik-lenina-i-spasitel-rossii (05. 10. 2025)

საარქივო, პერიოდული პრესისა და ინტერნეტ მასალები

სეა სცა, ფონდი 1861. საქმ. # 79. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1861, ანაწ. 1, საქმ. 79.

სეა სცა, ფონდი 1864, საქმ. # 610. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმე 610.

სეა სცა, ფონდი 2117, საქმ. # 11. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწ. 1, საქმ. 11.

სშსსა, ფ. 14, საქმ. 5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, ანაწ. #1, ს. # 5.

სშსსა, ფ. 14, საქმ. 37. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. # 37.

სშსსა, ფ. 14, საქმ. 45. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. # 45.

სშსსა, ფ. 14, საქმ. 54. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. 54.

სშსსა, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. 196. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. # 96.

სშსსა, ფ. 14, საქმ.182. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. # 182.

ბრძოლის ხმა, 1929: 1.11. გაზ. ,,ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1929 წ., ნოემბერი, # 1.

დრონი, 2012: 18. 02. გაზ. ,,დრონი“, 2012 წ., 18 თებერვალი.

ერთობა, 1918: 10. 12. გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 10 დეკემბერი.

თავისუფალი საქართველო, 1921: 15. 06. ჟურნ. ,,თავისუფალი საქართველო“, სტამბოლი, 1921 წ., # 2, 15 ივნისი.

თავისუფალი საქართველო, 1921: 15. 07. ჟურნ. ,,თავისუფალი საქართველო“, 1921 წ., # 3, 15 ივლისი.

თავისუფალი საქართველო, 1921: 10. 08. ჟურნ. ,,თავისუფალი საქართველო“, 1921, სტამბოლი, # 5, 10 აგვისტო.

კომუნისტი, 1922: 25. 05. გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 25 მაისი.

ლიტერატურული საქართველო, 1939: 30. 04. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939 წ., 30 აპრილი.

მუშა, 1924: 18.09. გაზ. „მუშა“, 1924 წ., 18 სექტემბერი.

სოციალისტ-ფედერალისტი, 1921: 28. 04. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 28 აპრილი.

ტრიბუნა, 1922: 26.03. გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ., 26 მარტი.

http://galaktion.ge/?page=Diaries&id=3317 (07. 10. 2025)

https://www.theguardian.com/world/2016/jul/22/georgia-russia-domination-letter-1921?CMP=share_btn_tw (11. 10. 2025)

REFERENCES

brzolis chma. (1929). 11 noemberi [gazeti „brzolis chma” („The Voice of Battle”), Paris, 1929, November 11, N 3]

ertoba. (1918). 10 dekemberi [gazeti „ertoba”, Newspaper „Unity”, 1918, December 10.

droni. (2012). 18 tebervali. [gazeti „droni”, Newspaper „Times”, 2012, February 18]

komunisti. (1922). 25 maisi [gazeti „komunisti“, Newspaper „Communist”, 1922, May 25]

literaturuli saqartvelo. (1939). 30 aprili [gazeti „literaturuli saqartvelo”, Newspaper „Literary Georgia”, 1939, April 30]

musha. (1924). 18 seqtemberi [gazeti „musha", Newspaper „Worker”, 1924, September 18.

socialist-Federalisti. (1921). 28 aprili [gazeti „socialist-federalisti”, Newspaper „Socialist-Federalist”, 1921, April 28]

tribuna. (1922). 26 marti. [gazeti „tribuna”, Newspaper „Tribuna“, 1922, March 26]

saqartvelos erovnuli arqivi, saistorio centraluri arqivi, fondi 1861, anaw. 1, saqm. 79 [National Archives of Georgia, Historical Central Archive, f. 1861, ref. 1, case 79]

saqartvelos erovnuli arqivi, saistorio centraluri arqivi, fondi 1861, anaw. 2, saqm. 610 [National Archives of Georgia, Historical Central Archive, f. 1861, ref. 2, case 610]

saqartvelos erovnuli arqivi, saistorio centraluri arqivi, fondi 2117, anaw. 1, saqm. 11[National Archives of Georgia, Historical Central Archive, f. 2117, ref. 1, case 11]

sakartvelos shinagan sakmeta saministros arkivi, pondi 14, anats. 1, sakm. 5 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia, Fund 14, ref. 1, case 5]

sakartvelos shinagan sakmeta saministros arkivi, pondi 14, anats. 1, sakm. 37 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia, Fund 14, ref. 1, case 37]

sakartvelos shinagan sakmeta saministros arkivi, pondi 14, anats. 1, sakm. 45 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia, Fund 14, ref. 1, case 45]

sakartvelos shinagan sakmeta saministros arkivi, pondi 14, anats. 1, sakm. 54 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia, Fund 14, ref. 1, case 54]

sakartvelos shinagan sakmeta saministros arkivi, pondi 14, anats. 1, sakm. 96 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia, Fund 14, ref. 1, case 96]

sakartvelos shinagan sakmeta saministros arkivi, pondi 14, anats. 1, sakm. 182 [Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia, Fund 14, ref. 1, case 182]

zhurnali „tavisupali sakartvelo“. (1921). 15 ivnis, N 2 [Journal „Tavisufali saqartvelo“ (Free Georgia), Paris, June 15, N 2]

zhurnali „tavisupali sakartvelo“. (1921). 15 Ivlisi, # 3 [Journal „Tavisufali saqartvelo“ (Free Georgia), Paris, July 15, N 3]

zhurnali „tavisupali sakartvelo“. (1921). 10 agvisto, N 5 [Journal „Tavisufali saqartvelo „ (Free Georgia), Istanbul, August 10, 1921, N 5]

http://galaktion.ge/?page=Diaries&id=3317 (07. 10. 2025)

https://www.theguardian.com/world/2016/jul/22/georgia-russia-domination-letter-1921?CMP=share_btn_tw (11. 10. 2025)